სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/50

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 15 ოქტომბრის №0001325798, 1 ნოემბრის №0001447946 და 1 ნოემბრის №0001407132 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის არქიტექტურის ბიუროს საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ განისაზღვროს მთავარი არქიტექტორის 1 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 2 000 ლარი თვეში და წამყვანი არქიტექტორ-დიზაინერის 2 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 1 000 - 1 000 ლარი თვეში;

1.1. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

2. დამტკიცდეს სტუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის საშტატო ნუსხაში შესატანი შემდეგი ცვლილებები:

2.1. ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებაში I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გადაკეთდეს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატად ყოველთვიური ანაზღაურებით 1000 ლარი;

2.2. სატელეკომუნიკაციო და მულტიმედია სისტემების განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი შეიცვალოს მულტიმედია სისტემების კოორდინატორის შტატად ყოველთვიური ანაზღაურებით 1500 ლარი.

3. ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტში არსებული 1 საშტატო ერთეული - „ელექტრონული ბაზების მენეჯერი" გადატანილ იქნეს მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრში და ეწოდოს „შიდა კომუნიკაციების მენეჯერი", სახელფასო ანაზღაურებით 1500 ლარი თვეში;

4. დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2024 წლის 1 ნოემბრიდან;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**